



ხელის მოწერა და დასაბეჭდი... გენერალ-მაიორი მი- ილბა „საქართველოს“ რედაქციაში და კანტორაში ყოველდღე კვირა უქმეებისგან და...

განცხადების უბანი:

ჩვეულებრივი სტრუქტონი პირველ გვერდზე პეტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10კ., სამგლო- ვიარო განცხადება პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 4 მან.,

„საქართველოს“ კანტორისაგან

გაზეთი „საქართველო“ 1 ივლისიდან წლის დამლევაზე ღირს 4 მან. 50 კ., 1 ოქტომბრამდე—2 მ. 25 კ., ერთი თვით—90 კ., ადრესის გამოცვლა—40 კ. მოგვარებით „კლდის“ იმ ხელის მომწერით, ვისაც მთელი წლის ფული აქვს გადახდილი (5 მ.), რომ „საქართველო“ გაეგზავნებოდ მხოლოდ 1 ივლი- სამდე.

პირველხარისხიანი სასაბჭო „კაფე ბორდო“

მიხეილის პროსპექტზე, № 18 და მიხეილის ქუჩაბანდი № 1. შაშა, ყოველგვარი ცხელ-ცხელი სასაბჭო დღის 9 საათიდან 12 საათამდე. საღამო 1—6 საათამდე, საღამო 2, 3 და 4 თავიანი. აგრეთვე ჩვენებური სა- კმელები: ხარჩო, ღომი, საცივი, ხაჭაპური, ნაყინი და სხვა და სხვა ხილის წყა- ლი, ცხელი „პიროცები“. თეატრალ მოსაძილეთ შეღავათი ეძლევათ. საღამოს გზავნით ოჯახებშიც. სასაბჭო ღია დღის 8 საათიდან საღამოს 11 საათამდე. პატივისცემით რაჟდენ იოსელიანი.

გამგეობა

კახელ მევენახეთა საზოგადოება „კახეთი“-სა ამით წვერთა საყურადღებოდ აცხადებს, რომ წვერთა ჩვეულებრივი საზოგადო კრების გაგრძელება მოხდება 20 მკათათვეს 1915 წ. ქ. თელავში, საღამოს 8 საათზე, სა- ზოგადოების ბიუროს ბინაზე.

გამოცდილი მასწავლებელი ქალი

ღებულობს და ამზადებს პირველ და მეორე კლასისთვის ქალ-ვაჟს ყველა საშუალო სასწავლებლისას. აგრეთვე ამზადებს, ხელმისაწვდომ ფასებში, ვისაც განმეორე- ბით გამოცდა ექნება. შეიძლება საღამო წიწვევაც. მისამართი: კიბორჩხის შესა- ხვევი, სახლი 12, ოთახი 9.

ოვის დღიური

მიმოხილვა ათიოდე დღის წინა კონკრეტული მიმართულებით გერმანელთა ჯარის უკი- ლურესმა მარცხენა წვერმა თითქმის მი- აღწია მიტავას, ხოლო ცენტრი შავის მიდამოებში უცვლელად დარჩა, რის გა- მო ბრძოლის პირის ცენტრი დასავლე- თისკენ შეიხიქა. მას აქვე ბრძოლის პირი პირუტყვში შეიცვალა: მარცხენა წვერი მიტავის დასავლეთით გაჩერდა და გაიყინა, ხოლო ცენტრმა შავლიდან პონევესკენ საშუალოდ 70 ვერსით წა- მოიწია და თუ წინათ იგი დასავლეთი- სკენ იყო შეხნიქილი, ეხლა აღმოსავლე- თისკენ არის გამოხნიქილი. დღევანდელ დებულებით ცნობით მი- ტავის მიდამოებში რუსის ჯარისთვის სახიერი შეტაკება ყოფილა წინამავალ-

დ. გ. რ. შ. ი. კიბი ნ. მ. კლიმაშვილი იღებს შინაგან და ქიურგულ სნეულე- ბიან ავადმყოფებს. აკაკის ქუჩა, შეფის საუბოქთან

კბილის ექიმი ნინო რცხილაძე იღებს ავადმყოფებს დღით 9—2 ს. და საღ. 5—7 საათ. ყაზბეგის ქუჩა 14 და კიბორჩხის შესახვევის 21.

დოქტორი მადონიძე მოსე ანთიმოს ძე კალანდარიშვილი ეფროსი ექიმი ტფ. კაფეტა კორპუსისა. ზავშეთა, შინაგან და ქიურგულ სნე- ულებიან ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე მანგლისში კაფეტა კორპუსის ავარაკში.

გაღწერას საწერ განაგონ საზოგადოებრივ და საჯარ განაგონ მუშაობის სწავლებას ხელმისაწვდომ ფასებში ქიურგოლობს ი. თ. გვათუას კანტორა ვერის დაღმართი № 1 ტელეფონი 17—05

კისა და როჟანას შუა-მარცხენაზე. დღევანდელი დებუა არაფერს ამბობს შესახებ კონსტანტინოვის, რომელიც მდებარეობს ბუგის მარცხენა ნაპირზე, ნოვოგეორგიევსკის აღმოსავლეთით 5 ვერსით. ამ მეტად მნიშვნელოვან ქუ- თხეში 13 ივლისს დიდი ბრძოლა იყო. ვარშავის გარშემო რაკლი თანდათან იღუნება და მისი ბედი შეიძლება მის ჩრდილოეთით გადასწყდეს; თუმცა, რა თქმა უნდა, იგი ეხლანდელ უმავალითა და მსოფლიო მნიშვნელობის ბრძოლას ვერ გადახრის და გადასწყვეტს. ლიუბლინის მიმართულებით, და ვის- ლის მარცხენა ნაპირზე შესამჩნევად ცვლი- ლება არ მოხდება. ხოლო მის მიმართუ- ლებით და ბუგის ნაპირებზე გაუთავე- ბელ და უკიდურესობამდე გამწვავებულ ბრძოლის ბედი ჯერაც არ გამოჩვენე- ლა. ლეოვის აღმოსავლეთით და მდინა- რე ზოლოტაია ლიპას სთავებში ბარემ სამი კვირის სიჩუმის შემდეგ ისევ გა- ნახლად ძლიერი საარტილერიო სროლა, რომელიც შეიძლება დიდ ბრძოლად გა- დაიქცეს.

დ. ბ. ლი. ტბილისი, 15 ივლ. კავკასიის ჯარის შტაბისაგან. ზღვის რაიონში სროლაა. ჩვენი მოწინევე რაზმი წარმატებით მო- კმედებს. ოლთისის მიმართულებით ახას რაიონში სროლაა. მუშის მიმარ- თულებით ოსმალებმა დიდძალ ჯარს თავი მოუყარეს; რუსის ჯარმა შეაჩერა დროებით თავისი სვლა დასავლეთის- კენ და შემოაღინაშულ პოზიციებზე შეეგაფა. დანარჩენ ფრონტზე შეტა- კება არ მოხდება.

პატარობადი, 15 ივლისი. ოფიცია- ლი. უმაღლესი მთავარსარდლის შტა- ბისაგან. მიტავის სამხრეთით და დასავ- ლეთით 12 ივლისს მოწინევე რაზმთა შეტაკება რუსთა სასარგებლოდ გად- მოხარა. პონევედან წამოსული გერ- მანელები 13 ივლისს შეჩერებულ იქმ- ნენ დაბა სოზუჩთან. რუსთა მხიშე არტილერიამ დიდი ზარალი მიაყენა მოიერიშეთ. ნარევის ფრონტზე დიდი საარტილერიო ცეცხლი ჯერაც არ შე- წვეტილა. ნოვოგეორგიევსკის გერმანელები კვლავ განაგრძობენ გადმოსვლას. მდ. შუგის პირად 14 ივლისს გერმანე- ლებმა დაიჭირეს რუსთა თხრილები,

მაგრამ მალე ხიშტებით უკუგდებულ იქმნენ. ნარევის მარცხენა ნაპირზე დობროლენკოდან მდ. პრუტამდე უსას- ტიკეს ბრძოლას ჯერაც პირი არ შე- უცვლია. ნარევის მარჯვენა ნაპირზე გერმანელები კვლავ იერიშით წამო- ვიდნენ რუსის ჯართა შესაჩერებლად, რომელთაც სეროცკასთან კონტრიერი- შები მოჰქონდათ. სოფ. ბუღა სბრუ- გასთან რუსებმა 6 იერიში მოიგერი- ეს. ვისლას მარცხენა ნაპირზე, აგრეთ- ვე ამავე მდინარისა და ვებრუსის შუა არხებითი ცვლილება არ მოხდება. ვებრუსისა და ბუგის შუა დამით 14 ივლისს მეტად სასტიკი ბრძოლა მო- ხდა რაკულუპისა-მადან ოსტროვსკის რაიონში. სამი მძაფრი იერიშის მოგე- რიების შემდეგ რუსები კონტრიერი- შით ეკვეთნენ და 1,500 ტყვე წამოი- ყვანეს. გრუბეშოვის მიმართულებით გერმანელები სასტიკი იერიშებს განა- გრძობენ. სტეპანოვიცეს ჩრდილოეთით რუსებმა გერმანელთა სამი გააფრე- ბული იერიში მოიგერიეს. სოკალის სამხრეთით რუსებმა მარჯვენა შეაჩე- რეს პორტურეციტთან გადმომავალი გერმანელები. დღით, 14 ივლისს, რუსის ჯარები შეიჭრნენ გერმანელთა პოზიციებში და ბლომად ტყვეები წა- მოასხეს. გერმანელებმა ახალი ძალები მოიკრიბეს და კონტრიერიშით წამო- ვიდნენ. ცხარე ბრძოლა ჯერ არ და- მტყნალია. ზემო ბუგზე და ზოლოტაია- ლას გერმანელები ბრძოლაა. გერმანელები ნელ-ნელა წინ მოიწვევენ.

შურალ-გაერთიანდა

ვიმელის უკანასკნელი დებუა. ბუქარესტის გაზეთი „უროსი“ გადმო- გეტყვამს: ვილჰელმის დებუა გამოუქვეყ- ნებია, რომელიც თავის დისთვის, საბერ- ძინეთის დედოფლისთვის მიუწერია: „თქვენს მეოხებით ბულგარეთისა და რუმინის გამარჯვება უზრუნველყოფი- ლია“. (ნ. ვ.)

სომხების განდევნა. „მუჰაკ“ ცნობა მიუღია ენკიპედიიდან: „ოტომანთა იმპერიის სისრულეში მო- ყავს ის ჯოჯოხეთური გეგმა, რომელიც მათ შეუშუშავს გერმანელებმა ვინმე კორბანის მეთაურობით, ეს გეგმა სო- მხეთა განდევნა-გადასახლებაში გამოი- ხატება. სომხების მეტ ნაწილს ჰგზავ- ნიან ალექსანდრე და იკონიაში.

ხეჩოს სიკვდილი. „პარიზონის“ სიტყვით გოურთან მო- უკლავთ აჯანყებულ სომეხთა ერთი თვა- ლსაწინო ბელადთაგანი. იგი დაკრძალეს ვანში.

ოსმალეთ-ბულგარეთის შეთანხმება. „რუს. ვედ.“ ბუქარესტიდან დე- პეშით ატყობინებენ: „ოსმალეთ-ბულ- გარეთის შეთანხმების შესახებ ლაპარა- კობენ, რომ ოსმალეთმა დათმობილ ად- გილთა შორის მიუმატა ანდრიანოპო- ლის ჩრდილო ნაწილი, სადაც ბულგარ- თა ხაზი გაივლის დედეაგანამდე. ამის ნაცვლად ბულგარიის აღუთქვია ოსმა- ლეთს თავდაცვაში მოეხმაროს.“

გერმანელი ტყვეები სამუშაოზე. სამხრეთ რუსეთში რამდენიმე ათასი გერმანელი ტყვე სამუშაოდ გაიყვანეს. ტყვეები კარგად იცნობენ სამეურნეო შრომას და მათი ნაშეშეგარა პირდაპირ გაოცებას იწვევს, იმდენი ნაყოფი მოაქვთ. ზოგიერთ შემთხვევაში ვირტუოზობას იჩენენ და ორ-სამ მუშის საქმეს ასრუ- ლებენ. ამიტომ მემბარულნიც სიამოვნე- ბით ეგებებიან მათ და ოფიციალურ სას- ყიდელის გარა ზედმეტ საჩუქრებს აძ- ლევენ მათ. ყველაზე საუკეთესო შთა- ბეჭდილებას სტოვერენ ის ტყვეები, რომელთაც განათლება მიუღიათ, მაგ. სტუ- დენტები, ცენი მანქანებს მეტად კარგა- და ხმარობენ და დიდი ნაყოფიც უჩანთ.

რომ ბოროტად მოიხმარონ ცოდნა და მანქანები გააფუჭონ, ამის მავალითები ჯერ არ ყოფილა. (პრ. კრ.)

ვენეცია ომის დროს. რომ ავსტრიულ პაეროპლანებისა და ლირიკალების თარეშის შიში იცილი- ნონ თავიდან, ქალაქი ვენეცია საღამოს 8 ნახევარ საათზე უკვე წყვედადით არის მოკლული. ყოველგვარ აქრობენ ელექტ- რონისა და გაზის სინათლეს. შინ თვით ნავთის ლამების ანთებასაც კი უშლიან. ნება აქვთ ანთონ სანთელი, ისიც ოჯა- ხზე თითო-თითოდ. ენდარმერიას და ჯარისკაცებს ნაბრძანები აქვთ გაუფრთ- ხილებლოვ თოფი ესროლონ, სადაც კი სინათლეს დაინახავენ. ხალხს ქუჩაში განსაზღვრულ დროს შემდეგ სასტიკად ეკრძალებათ პაპროსის წვევა, რომ ავია- ტორთა ყურადღება არ მიიპყრონ პაპი- როსის ცეცხლით. ასევე აკრძალულია ფარნებით სიარული, რაც მეტად აბრ- კოლებს ქუჩებში სიარულს და რუბზე გადასვლა-გადმო- სვლას. მთელს ქალაქის გარშემო ზარ- ბანები უდგიათ, რომ პაეროპლანებს დაუშინონ, რომ ადმინისტრაციის გან- კარგულებანი არსად დარღვეულ იქნეს. როგორც მოსალოდნელი იყო, ვენეცია- ში ტურისტებს ვეღარ ნახათ. სასტუმ- როების მეტი ნაწილი დაკეტულია. „რ.“

პრესა

გაზეთი „ზემშინი“ სამღვდლოების აღდგენისთვის უკიდურეს გამოძისა- ხველად, წინანდელ ობერ-პროკურორის დროს, სთვლის ეპისკოპოს ნიკონს... იგი ამბობს:

„საკვიცილი ზოგიერთი ეპისკოპოსისა, მათ შორის ეპისკოპოს ნიკონისა, ნათ- ლათ მოწოდებს უკიდურეს აღდგენისნი- ლობას, სადამდეც მიუღწევია სამღვდე- ლოებს. ეს არქიული არ სტრება თვით ომის დროსაც, როდესაც იგი თვის სა- ქადაგო სიტყვით გამოდის ებრაელთა გაზეთ „რეზი“. კანსონიარის ეპისკო- პოს ნიკონის თავებობა იქამდისიკი მი- ვიდა, რომ რუსებს სამავალითოდ „განა- თლებულ“ გერმანელებს გვისახელებს. არქიელი ირწმუნება, არა კრუპის ზარ- ბანები აძლევს უპირატესობას გერმა- ნელებს, არამედ მათი კულტურაა. უსიარტებლოდ გვიჩვენებს შეწყნარებით მოგვარება გერმანელებს!“

ზემშინიან იმედი აქვს, რომ ახალი მოძღვარი გამოაბრუნებს სამღვდლოების დაკარგულ საქმეს.

„რუსკოე სლოვო“ თვის უკანასკნელ ჩეთაურებში ეხება სახელმ. სათათბი- როს მომავალ მოქმედებას. უნდა ითქვას, რომ ამ წერილების არც ტონი და არც სული არ ეთვისება გაზეთის ტრადიციას რე მის ვერ აგრძელებს; პირიქით ისინი სრუ- ლად ახალი ორიენტაციის და ახალი ტრადიციის გამოსავალ წერტილს წარ- მოადგენენ, თუ შემდეგშიაც გაზეთმა შეინარჩუნა ეს ახალი კურსი. მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, გაივლის თუ არა აწინ- დელი მდგომარეობის სიმწვევე და მომ- დგარი საფრთხე ამა თუ იმ სახით წარ- სულს ჩაბარდება თუ არა, „რუსკოე სლოვო“ და მასთან ბევრი სხვა მისი თანამომეცე დაუბრუნდება ძველსა გზასა და ძველს სახელმძღვანელო იღებებს პო- ლიტეკაში.

გარემოების მონაბერს, გარემოება თან წარიღებს და რაც ორგანიულ ნა- წილს არ შეადგენს, ის უტყვევლოდ, უკვლავად წარუხტოება „რუსკოე სლო- ვოვს“. და ვაჭკობა სალი კრიტიკა და და სალი პრაქტიკებით. მეთაურების სიტყვით, მთავრობას შე- ეძლო ორი კურსი აეღო: ან გაბატონე- ბულიყო თვითმპყრობელოდ, სამხედრო დიკტატურის შემოღებით, დაეშასა ყო- ველი საკანონდებლო და სხვა კერძო

ფერდობით ლამაზად შემორტყმია ამ არემარეს. მოყვანილობა ნამდვილ ჩიტის ბუდეს წარმოადგენს. იქნებ ესეც იყო მისი მიზანი, რომ ამ არემარეს ბოძებზე დაეკავებოდა ანუ „ბუდე“. აქედანვე შევიძლიათ აღაზნის მშვენიერ ველს გადახედოთ და დასტყბეთ კავკასიონის ბუმბერაზობით!

გზოში გამოსვლისას მეორე რიგზე კვლავ ყაზარულ შენობებს დინახავთ. აქაც არა არის რა მშობლიური; თქვენ ერთგვარ შეურაცყოფას ჰგონობთ, მშობლიურ გრძობის შელახვასა. ნეტავ რად დაიჩრდილა ეს აკენი ჩვენის რწმენისა? ეკითხებით თავს და მწუხარებით განხსენებთ იმ დროს, როდესაც ბოძის მონასტერი ნორჩ ცაცხვის სურნლოვნებით იფურჩქნებოდა და საღმრთო რძით გვიზრდიდა არა მარტო მეფე მიტროპოლიტებს, არამედ ერის წინამძღვართა. მართალია, იგი იყო ჩვენი ერთგვნილი სარელიგია ცენტრი, მაგრამ ეს არ უშლიდა, რომ ჩვენს მამებს საპატრიარქო კვერთხი უკუ ეგდოთ, აელოთ ჯვარი, მეთრეთი მკრედი მახვილი და ერს გასდლოდნენ კარს მომდგარ მტრის ურდოების გასაფრთხავად. თვით აღამაღმანის შეხვედრა შემოსევამ, მართალია, მძინერებით ნახობად აქცია-ქართლ-კახეთი, ბოძის მონასტერიც ნაცარ-ტუტად გადააქცია, მაგრამ ხული, ქართველის ძლიერი სული მაინც ჰღვიოდა ნანგრევებში და სწრაფად ეგზნებოდა ახალ გმირების მოსახმობად. დღეს კი, დღეს, როდესაც აღამაღმანის წაბნე ვერ შეუხრბინ საქართველოს, დღეს, იგივე მონასტერი, პასიურად მისციმია რვევის ქარიშხალს და... სადღაც უფსკრულისკენ მიექანება, რომ მით დასრულდეს საღვებნო მისი ფაბულა...

(შემდეგი იქნება)

დ. კასრაძე.



† აღმასწავლებელ ფაჩარას ძე როსტომაშვილი.

გუშინ ქ. თელავში მიწას მიბარეს პატარა საშა. გული ვერ იმავრეს სვედას, სული გეხუთებდა, თვლი ცრემლით გვესება, როცა ჰფიქრობ ამ ახალგაზდა ბავშვის სიკვდილს. მოკლეც; გული გაუფრია მტრის ტყვიამ ისეთს ჰაბუქს, რომლის სახელიც დაუფიქრია იქნება ყველასათვის, როგორც საუკეთესო ქართველ გმირთა-გმირთაგანისა. ომის დაწყებიდან იგი იბრძოდა ისე მამაცურად და ვაჟკაცურად, რომ როდესაც მე სატახტო ვაზეთებში აღენიშნე მისი მართლაც რაინდული მოქმედება, მთელმა რუსეთის პრესამ მას წერილები უძღვნა.

მასხოვს, როცა ერთხელ ვაფრთხილე და თან ვსთხოვე საცოდავი მშობლები მაინც შეებრალა, რანარისი აღმშობილებული წყენით მიმტკიცებდა, რომ, როგორც ქართველს, არ შეუძლიან თავგანწირულად არ იბრძოლოს. „დღეს, ქართველებმა კვლავ მიიპოვეს მამა-პაპური მემობრთა სახელი და ვინ იქნება ისეთი ჩვენგანი, რომ გაბედოს ჩვენი სამშობლოს სახელი შელახოს“.

ომის დაწყებამდე, სულ ორი კვირით ადრე, აღექსანდრე სამხედრო ბეგრის მოსახელად შევიდა სწორედ იმ პოლკში, სადაც მისი უფროსი ძმა, პეტროგრადის პოლიტექნიკურ ინსტიტუტის სტუდენტი, უბრალო ჯარისკაცად იყო. ეს პოლკი გაუღმდებით გერმანიის საზღვარზე იყო დაბანაკებული. ერთხელ, როდესაც მსოფლიო ომის ქარიშხალი უკვე ახლოვდებოდა, სტაბაშვილმა გადაწყვიტა გაეგზავნა ვინმე საიდუმლოდ ირანის სურბაში, რომ ადგილობრივ გავგო, თუ რას ჰფიქრობენ, ან რას აკეთებენ თვით გერმანიისა.

ამ მოვალეობის შესრულება თავს იღებდა აღექსანდრემ. გადიოდა გერმანულ ჯარისკაცის საცმელი და ველოსიპედიტად გაემგზავრა მომავალ მტრის ბანაკში. ბეგრის ტანჯვის შემდეგ, მან მეორე დღეს იოვანისბურგში ამოყო თავი. გერმანულ ენის ცოდნა მას იმდენად ხელს უწყობდა თურმე, რომ მანიფესტაციაშიაც კი მიეღო მონაწილეობა. ეყიდა იქ მრავალი ვაზეთი და უფნებლად დაბრუნდა. ახლა კი ყველა დარწმუნდა—აღექსანდრეს ნახულის და ნახმობის შემდეგ, რომ გერმანიისთან ომი აუცილებელი იყო.

აღექსანდრეს პოლკი სამხრეთის კორპუსს ეკუთვნოდა და მასთან ერთად ისიც მალე მალე ტბებთან გაჩნდა. აქ მას, როგორც ენის მცოდნეს, მხვერავთა პატარა რაზმი ჩაბარეს. უფროსნი არ შესცდნენ, ვინაიდან აღექსანდრე ფელმაგებულნი თავგანწირულები იყვნენ თავის მოვალეობის ასრულებას და იმდენი საბუთები მიუტანა თავის უფროსებს, რომ მალე გიორგის ჯვრით იქნა დაჯილდოებული.

ერთხელ აღექსანდრე თავის რაზმით გერმანიის ზარბაზნებს შეხვედებოდა. კარგა ხნის ზეგრის შემდეგ მას შეეტყო, რომ ამ ზარბაზნებიდან, რომელნიც განგებ მალად ადგილას ყოფილიყვნენ ამართულნი, მხოლოდ კვამლი გამოვარდებოდა ხოლმე დრო-გამოშვებით. ცხადი იყო, რომ ეს ჩვეულებრივი გერმანული ხრიკი უნდა ყოფილიყო. მართლაც ეს ზარბაზნები თურმე ხისა ყოფილა, რუსის არტილერიის თვალის ასახვევად. ყველა ეს მალე უფროსს შეატყობინა და უკანასკნელიც, რაწამს დარწმუნდა აღექსანდრეს ცნობის სინამდვილეში, მაშინვე დასაჯილდოებლად წარუდგინა.

ს.ს.ო.რის ჯარის დახვეის დრო აღექსანდრემ ძმასთან ერთად დაიხსნა მტრისაგან რუსის საველე გაუბიჯა. თვითონვე დაქრული ყუმბარის ნატყბით ფეხში, აღექსანდრემ ცეცხლის ქარბუქიდან გამოიტანა ცოცხალ-მკვდარი როტის კომანდირი და ტყვეობას გადაარჩინა. მრავალ დაჯილდოებულნი აღექსანდრე უფროსის ბრძანებით ვიღონის სამხედრო სასწავლებელში გაგზავნეს. აქედან, უკვე პრაპორშჩიკი, ისევე ბრძოლის ველზე მიემგზავრება, მხოლოდ ითხოვს, რომ იგი კავკასიის გრენადერის პოლკში ჩაერთვას. მას ეს სურვილი, როგორც უკვე ცნობის გმირს, მალე აუსრულეს. „დე ისევე ჩვენებთან მოგვედო, იქ ქართველი ბეგიაო“, მითხრა უბედურმა, როცა მას ვარშავის სადგურიდან ვაცილებდნენ.

ჩასვლის უშაღ, პრასნიშთან, როგორც როტის უფროსი, თავის წინამძღოლობით, მოულოდნელად თავს დაეცა გერმანულთა სანგარს; მარტო თვით შეიქრა მავთულთა ხლართში და გზის ვაკეფას შეუღდა. აქ ხელმეორედ დასტრეს. ამგვარ თავგანწირულებისთვის დაჯილდოებულნი იყო ვლადიმირის ჯვრით. დაქრული ცარსკოე სელოში წაიყვანეს. მალე ისევე ბრძოლის ველზე ვხედავთ აღექსანდრეს. ახლა იგი ხოლმე განჩნდა. სულ 50 კაცი თი ანგრევს ავსტრიელების სიმაგრეს, იღებს მათ სანგარს და ასოდე ტყვე მოჰყავს დავლად. ამ სახელგანთქმულ ბავშვს აჯილდოებენ ახლა უკვე წმინდა გიორგის ოქროს იარაღით.

არ გასულა ერთი კვირა: ბედის წერამ მოუწრო და გმირმა გმირულად დალია სული.

გმირი ყმაწვილი, ძვირფასო მეგობარო! ვინ არ გეტყვის გულითად მადლობას, რომ შენ ასე წმინდით შეასრულე შენი მოვალეობა და, როგორც ქართველნი—სახელოვანად და მოკვდილად ბრძოლის ველზე. ამაშილა ერთადერთი ნუგეში შენი სიკვდილით დახრუკულ მშობლებისა და მეგობრებისათვის. პოლკში შესვლამდის აღექსანდრე როსტომაშვილი პეტროგრადში აღექსანდრეის თეატრში მუშაობდა და, როგორც ჯერ ახალგაზდას, მას პატარ-პატარა როლებს ასრულებინებდნენ. იგი შეგირდი იყო ბ. მიეიხოლისა, რომელიც დიდ იმედს ამყარებდა მასზე.

აღექსანდრე ახმეტელაძე.

მიწიასიურები

II
ცა მოიღრუბლა.

ცა მოიღრუბლა...
ვით ზამთრისა წინამორბედმა გრიგალმა იწყო შმაგად გმინვა, მესისა ტყორცვნი, მიპლენა მუხა ასწლოვანი და ცეც-

ხლის რახტი გაატილა თვალწარმტაცი ქვეყნის წალკით.

ცა მოიღრუბლა...
სრუ გუფუნით იძრა ქვეყნელი. ცეცხლი და წვიმა ბორილით ანელგებს მიწას. როდევს უფსკრული გადაშლილა და ბომბოქობით ზვირთს ზვირთზე ისვრის ნაუღეტო სისხლის ოკეანიდან.

ცა მოიღრუბლა...
ღმერთი დარჩა ლეგენდის გმირად. იგი ცივია, ვით ქანდაკი მძულვარებისა, მას აღარ ესმის ღაღადისი მსახიობელთა, აღარც თუ კენესა ობლად შთენილ უმწყო ჩჩვილთა, ნორჩ სასძლოს ცრემლი, ვის მიჯნურმაც კრილობის ვარდით ვერც კი მოასწრო შორეული კოცნა მიეძღვნა, შეშლილთა გუნდში ჩაერთა და ქარიშხლის მძინერავ ფრთებით გლეჯა-ფლეთის ველზე გაიქრა...

ცა მოიღრუბლა...
ვინლა ისმენს დედათა მოთქმას! დამუნჯებულნი მწუხარების ცეცხლს შთაუნთქია, ცისკენ აწვიდნენ უმწყო და მართლვარე ხელებს, ცას მუნჯად სობოვეს სხივთა ღიმის მცირე ანარეკლს, მაგრამ, ეჭა, სხივი არ სჩანს, ბნელა, ოპ, ბნელა, მათი გოდება იკარგება სრუ უდაბნოში და იმედების ვაცრუებულ კეჭან ველზე ნაღლის ფერებით კითხულობენ ძვილის ძველ ზღაპარს: „ჩუთ, იმედეთა... ეს სისხლი კი რისხვის ღმერთს მსურსო“...
ცა მოიღრუბლა!..

Candidate.

დაკაშები

თეიმურაზი, 14 ივლ. როგორც იუწყებიან კინში ჩამოსულა 4 გერმანული ავიატორი ორმოცი შეიარაღებული სპარსელის თანხლებით, გერმანელების მოქმედება სპარსეთში პრაპაგანდის გასაწევად თან-და-თან მატულობს. გერმანიის დიპლომატია სპარსელებს ურჩევს პირდაპირ გერმანიას მიემხრონ.—ჰპირდება დახმარებას და სპარსეთის მომავალ აღორძინებას. სამინისტროს კრიზისს ჯერ არ ვაუფელია. დეზორგანიზაცია ეტყობა. რაშაინ ხელს უწყობს საქმეების გაქიანურებას.

ლომდონი, 14 ივლ. გერმანიის წყალქვეშა ჩასიარა შემდეგი ნაღმიკრეფია: „გერმონი“, „სეტონი“, „გონორია“, „კასი“, „ვილონა“, „როსლიანი“, „სტრატურია“. მეზღვაურები გადაარჩინეს. გერმანიის წყალქვეშას მიერ ჩაიძირულ გემი „ლიგნეუსი“ მეზღვაურები რიცხვით 32 კაცი ებრძინი ვადმოსეს.

გერმანიის წყალქვეშამ ჩასიარა ბერგენიდან მომავალი ნორვეგიის გემი „ფინრეიტ“-ი. მეზღვაურებიდან 20 კაცი სტორნოეში ვადმოსეს.

კოპენჰაგენი, 14 ივლისი. ჩრდილო ზღვაში გერმანულ წყალქვეშამ ააფეთქა ხე-ტყით დატვირთული დანიის გემი „ნოვილი“. მეზღვაურები გადაარჩინეს.

ბუარისბო, 14 ივლ. ოფიციალი ვაზეთი „ვიქტორული“ უპასუხებს ვაზეთ „ეპოქას“ რომელიც ირწმუნებოდა, სამხედრო სურსათით დატვირთული ვაგონები რუმინით ოსმალეთში წავიდაო, „ვიქტორული“ სწერს: „ჩვენ კატეგორიულად ვამტკიცებთ, რომ რუმინით არავითარი სურსათი არ გამოსულა ოსმალეთში. გულდასმით ათვალერებენ და ჩინრეკენ ყოველ სატრანსპორტო ვაგონს, ასე რომ არამც თუ მთელი ვაგონი სამხედრო სურსათით, არამედ ერთი თოფიც ვერ გავა ოსმალეთშიო.“

პარიზი, 15 ივლისი. 14 ავლისის საღამოს ოფიციალი ცნობა. განახლებს თოფ-ზარბაზნის სროლა არტუას რაიონში და სუშეს არემარეში. ქალაქ არასო იცჯერ დაუშინეს ზარბაზნები. ქალაქში გაჩენილი ცეცხლი სწრაფლ ჩააქრეს. მოკლულ იქნა ერთი უბრალო მცხოვრები. მდინარე სომიდან მდ. ენამდე ჩვეულებრივი საარტილერიო ბრძოლა გაიმართა მოპირდაპირეთა შორის. არკონებში ძლიერი საარტილერიო ბრძოლა მიტელს ფრონტზე. ალზასში ფრანგებმა საბოლოოდ ხელთ იგდეს გერმანელების მძლავრად გამაგრებული პოზიციები, რომლებიც ორასი მეტრის სიმაღლიდან დაპყრებდნენ ფრონტების სანგრები და დაკვირვებულნი იყვნენ ლინგეკოპის, სახარტსმანელის და ბარენკოპის ქედებზე, ე. ი. მთელი ვერსის ფრონტის ვასწვრივ ქედები ვადმოყრებენ ფეხთის ხეობას და ნოტრ-დამ-დე-ტრუა-

ენის დიდ შარა-გზას. ფრანგებმა ხელთ იგდეს ასზე მეტი ჯარისკაცი და რამდენიმე ოფიცერი.

რომი, 15 ივლისი. მთავარ შტაბისაგან იუწყებიან დაონის ველში იტალიელებმა დაიპყრეს მარჯვენა ფერდობის სიმაღლეები. მონტე-ლეველეს იტალიელების მიერ დაპყრობის შემდეგ, ავსტრიელები შეეცადნენ ხელი შეეშალათ მათი სამხედრო ოპერაციის განვითარებისთვის, მაგრამ ვერცხს გახდნენ. მონტე-ნეროს არემარეში მკაცრი შეტაკება ხდებოდა. კორსოზე 14 ივლისს საშინელი ბრძოლა გაიმართა. იტალიელებმა ხელში ჩაიგდეს გამაგრებული პოზიცია სენ-მიშელი, მაგრამ მალე მტრის არტილერიის მოქმედების გამო იძულებული გახდნენ განზე გამდგარიყვნენ. ცენტრში სან-მარტინოსკენ იტალიელები წინ მოიწვიან. ტყვედ წამოიყვანეს 3200 ავსტრიელი, ხუთი ტყვეის მტრჭეველი, ორი ნაღმ-სროლია, მრავალი თოფი და ყუმბარა.

პეტროგრადი, 14 ივლისი. გამოაქვეყნეს უმაღლესი სახელობითი უქაზი, რომელიც შეეება 1896 წელს დაბადებულ ყმაწვილების ჯარში გაწვევას. ჯარისკაცთა გამოცხადების პირველ დღედ შეიდი ავგისტია დანიშნული.

რომი, 14 ივლისი. სტეფონის სააგენტო იუწყება: ვათენებისას ავსტრიელთა

ერთმა სუბუქმა კოეისერმა და ოთხმა კონტრ-ნაღმოსნებმა ზარბაზანი დაუშინეს ზღვის სანაპირო რიონის გზას, ადრიატიკის ზღვის სანაპიროსა და პესარეტის შლესის სანაპიროსა და პესარეტის შლესის სანაპიროს. რამდენიმე ყუმბარა ესროლეს აგრეთვე ფანოს და სინოვალისო. თითქმის ერთ დროს ანკონის ყუმბარები დააყარეს ორმა ჰიდრო-ავიროპლანმა. მაგრამ არც ერთ შემთხვევაში აღამიანი არ დაშვებულა. ქონებრივი ზარალი უმნიშვნელოა.

სეპასტოპოლი, 14 ივლისი. რუსის ნაღმოსნებმა დღის განმავლობაში ოსმალთა ორმოცი აფრიანი გემი ზღვაში ჩასიარეს, დალუპეს აგრეთვე ერთი ნავთით დატვირთული გემიც.

ოდესა, 15 ივლისი. დალუქეს და დახურეს ზინგერის მთავარი კონტორი და 25 მაღაზია.

ჩილიბინსკი, 15 ივლისი. 14 ივლისამდე ციმბირში ჩამოვიდა 18.501 ვადმოსახლებული და 403 მოხეტიალე (ხოლოკი). ციმბირიდან უკან გაბრუნდა 6,802 ვადმოსახლებული და 1.408 მოხეტიალე (ხოლოკი).

სანდრო ზანუიაშვილი

რედაქტორ-გამომცემელი

საგარეჯოდან	2	80	„
იფრიდან	2	50	„
ვაზიანდანი	3	55	„
ნავთლულ-კახეთ.	4	58	„
ნავთლულ-ამიერ-კავ.	5	13	„
თბილისში	5	28	„

თელავიდან-გურჯაანამდე № 8.

თელავიდან	8	54	წ. დილ.
ვანახიანიდან	2	58	„
გურჯაანში	10	07	„

ამიერ-კავკასიის რეინის გემის მიმოსვლა

(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)

თბილისში მოდის:

№ 3 ბაქოდან	12	ს. 54	წ. დ.
№ 4 ბათიმიდან	5	ს. 55	წ. საღ.
№ 5 ბაქოდან (სწრაფი) 7 ს. 41	წ. საღ.		
№ 10 ბათიმიდან	9	ს. 51	წ. დილ.
ჯულფიდან	6	ს. 53	წ. დილ.
ბორჯომიდან	7	ს. 25	წ. დილ.
„ საავარ. 10 ს. 28	წ. საღ.		

თბილისიდან გადის:

№ 3 ბათომისკენ	1	ს. 45	წ. დ.
№ 4 ბაქოსკენ	7	ს. 3	წ. საღ.
№ 6 ბაქოს (სწრაფი) 12 ს. 8	წ. დ.		
№ 9 ბათომისკენ	8	ს. 53	წ. საღ.
ჯულფისკენ	10	ს. 23	წ. საღ.
ბორჯომისკენ 3 ს. 29	წ. დ.		
„ საავარ. 8 ს. 28	წ. დილ.		

საპოლიტიკო და სალიტერატურო ვაზეთი

„ს ა მ შ ო ბ ლ ო“

(გამოდის ქუთაისში)
ყოველ კვირეული სურათებიანი დამატებით
ვაზეთი დიკა:
ერთი წლით 8 მანეთი, ნახევარი წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი. ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებანი—7 კ. მისამართი: ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო“. ესთხოვთ ომში დაკრულითა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები.
რედაქტორი **ი. ცინცაძე.**

წიგნის მაღაზია

„ახალი სიტყვა“ („НОВАЯ РЪЧЬ“).
ი. დ. ქიქნაძისა.
თბილისი. გოლოვინის პროსპექტი, 22, ტელეფონი 6-23.
გვაქვს ყოველნაირი ახალი წიგნი; ვკისრულობთ ყოველნაირ ბიბლიოთეკის შედგენას: საზოგადოს, საეროს, საქარხნოს, სასკოლოს, საბავშვოს და სხ. განმანათლებელ საზოგადოებათა და სასწავლებელთა მიერ დაკვეთილი წიგნები განსაკუთრებულ მორიგებით; ქალაქგარეთიდან დაკვეთას ვასრულებთ ორ დღეში. წერილით ანუ პირადად ნაყიდი წიგნები შეიძლება ჩვენზე მივიტანოთ (წ.—23)

თავის მრეველი

ამ. პეგველიძე
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9, ტელეფონი № 712.
განყოფილება ავლაბარში
კახეთის ქუჩა, საკუთ. სახ. № 7. ტელეფონი № 712.
ყოველდღე მოგვდის საკუთარი და საგაქრო სახლ. „ლ. მაილოვის-ვით“, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ზივილადა, მცირე მარილიანი, შავი „მეშინი“ ხიზილადა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხა, თართი, ფარგა და ლოქო. გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთისა და სასულერ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან.